პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 ოქტომბერი სამშაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი აამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 242 (15759)

შეჯიბრების მოწინააღმდეგენი

ოქტომბრის გზით

საბჭოთა ხალხი ემზადება ზეიმით აღნიშნოს სახელოვანი თარიღი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 56 წლისთავი, რაც უფრო გვაშორებს დრო ამ მიჯნას, საიდანაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — ხამყაროს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა, — მით უფრო სრულად და მკაფიოდ ვლინდება მისი უდიდესი შინაარსი ჩვენი საშობლოსა და მთელი კაცობრობის ბედისათვის. ოქტომბრის საქმე იმარჯვებს და ცხადყოფს მარქსიზმ-ლენინიზმის — მარად ცოცხალი რევოლუციური ინტერნაციონალური შოძღვრების ძლავრ გარდამქმნელ ძალას.

როგორც ყოველთვის, ოქტომბრის წლისთავის წინ ხაბჭოთა მიწა-წყალზე, მსოფლიოში გაიხმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მგზნებარე მოწოდებანი, ისინი გამსჭვალულია რევოლუციური ოპტიმიზმით, შეჩოჩელი ხასების შემოქმედებითი ენერგიისადმი ნათელი ლენინური რწმენით და მოგვიწოდებენ ახალი გამარჯვებებისათვის დიდი რევოლუციით დაწყებულ გზაზე, ახალი წარმატებებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ოქტომბრის წლეულდელი დღესასწაული განსაკუთრებით აღსანიშნავია: ჩვენ ვეგებებით მას, როცა უკვე განვლილია მეცხრე ხუთწლედის მარშრუტის ნახევარზე მეტი. საბჭოთა ქვეყანა დიდი აღმავლობის გზაზეა. ერთიან ერთსულოვან ოჯახად პარტიის მიერ შეკავშირებული მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენცია, ჩვენი მრავალეროვანი ხამშობლოს ყველა ხალხი აქტიურად აბორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის წინასწარდასახულობებს. ძალ-ღონეს არ იშურებენ ხამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის და კომუნიზმის მილითნობით მშენებელთაგან თვითეულისადმი მიმართულია საბრძოლო მოწოდება:

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ღირსეულად დავამთავროთ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი! უფრო ფართოდ გავშალოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის!

სოციალისტური ეკონომიკის თანმიმდევრული და დინამიკური განვითარება ქვეყნის ძლიერების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების საფუძველია. მას დღეს უზრუნველყოფს უწინარეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. თვითეული მშრომელის პატრიოტული მოვალეობაა უსუბაედ დაიცვას მომეარნეობის რეჟიმი, ეცადოს გამოუშვას მეტი, საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, ნაკლები დანახარჯებით, წარმატებით შეასრულოს წლიური გეგმები და ვალდებულებები. უნდა განვმტკიცოთ დისციპლინა, ორგანიზებულობა, „გულმოდგინედ დაეუფლოთ ეკონომიურ ცოდნას, მეურნეობრიობისა და მართვის თანამედროვე მეთოდებს, უფრო ენერგიულად დავნერგოთ წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები. ამას ხელს შეუწყობს მშრომელთა კოლექტივების როლის ყოველი ღონისძიებით ამაღლება ხაბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდაში, შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომ განვითარებაში.

პარტია, რომელიც დიდ ამოცანებს უსახავს ხახალხო მეურნეობის ყველა მუშაკს, უჩვენებს თვითეული მათი რაზმის მოქმედების კონკრეტულ პროგრამას. ბრეზნევლობის შრომითი მოვალეობაა რაც შეიძლება სწრაფად ითვისონ ახალი ხამძლავრეები და დაიჩქარონ ტექნიკური პროგრესი. „გაზარდონ ხალხისათვის კარგი საქონლის გამოშვება. მთავარი პოთხოვნა მშენებლებისადმი ის არის, რომ დროულად ააშენონ ხუთწლედის ობიექტები, „გაამჯობესონ ხამუშაოთა ხარისხი და შეამცირონ მათი ღირებულება. სოფლად, სადაც მთავრდება მოსავლის აღება, მთავარი უურადღება უნდა დაუთმოთ ხახელმწიფოსა-თვის მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, პირუტყვის ხანიმშო გამოზამრებას, ხაგაზფხული თესვისათვის ყოველმხრივ მომზადებას. ეაქრობის, ხაზოგადოებრივი კვების, ხაყოფაცხოვრებო ხამხახურისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკებისათვის ყველაზე მთავარია „გაუმჯობესონ მოხახლეობის მომსახურების კულტურა, უფრო ხრულად დაკმაყოფილონ მისი მოთხოვნილებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახალ მიღწევებს უსურვებს, გულთბილად მიესალმება ხაბჭოთა მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, კულტურის, ხახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს, ვეტერანებსა და ახალგაზრდობას. პარტიის ხაოქტომბრო მოწოდებანი შთაგონებენ ყველა ხაბჭოთა ადამიანს ახალ წარმატებებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. კომუნისტთა მაღალი მოწოდებაა იყოს ამ საერთო-სახალხო ბრძოლის პირველ რიგებში, მისების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები.

ჩვენი პარტია და ხალხი, რომელებიც გულდაჯერებით მიდიან წინ კომუნისტური მშენებლობის გზით, პირნათლად ახორციელებენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას. ჩვენ მხარში ვუდგავართ მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს, ამპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მეფგარ მებრძოლებს. ჩვენ ერთ მწყობრში ვართ სოციალიზმის მოძმე ქვეყნებთან ერთად, რომელებიც გაერთიანდნენ დიად სოციალისტურ თანამეგობრობად. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა კლასობრივ ძმას, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხს. დიე მტკიცედებოდეს რევოლუციური ძალების ძმადავრი კავშირი — სოციალიზმის, მსოფლიო სიხტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ძმადავრი კავშირი! პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმის ერთგული ხაბჭოთა ადამიანები ძმურად მიესალმებიან გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელმაც ისტორიული გამარჯვება მოიპოვა იმპერიალისტურ აგრესიაზე. ხელით და გულით ვართ ჩილეს პატრიოტებთან ერთად, რომლებიც მამაცურად ებრძვიან რეაქციულ-ფაშისტური ძალების წინააღმდეგ. არაბული ქვეყნების ხალხებთან ერთად, რომლებიც ხამართლიან ბრძოლას ეწევიან ისრაელი აგრესორებისაგან თავიანთი მიწების განთავისუფლებისათვის.

ოქტომბრის იდეები, რომელმაც თავის დროზე წაიწერა „მშვიდობა — ხალხებს!“, ახალ ისტორიულ პირობებში ხორცშეხსმულია სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ მშვიდობის პროგრამაში. მისი თანმიმდევრული განხორციელება დღეკანდელი მსოფლიო განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. ხაბჭოთა კავშირის ლენინურმა საგარეო პოლიტიკამ შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვა ამ ბოლო წლების მანძილზე. ჩვენი კურსი მკაფიო და კეთილშობილუნარია. ეს არის მტკიცე მშვიდობის, უშიშროებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის რაიონად ევროპის კონტინენტის გადაქცევის, „ზაიში მშვიდობის, კეთილმეზობლობისა და კოლექტიური უშიშროების განმტკიცების, ხახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმად მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გადაქცევის კურსი.

ეგებებიან რა ოქტომბრის რევოლუციის 56-ე წლისთავს, ხაბჭოთა ადამიანები გულდაჯერებით შეხვდებიან ხვალინდელ დღეს, კიდევ უფრო მჭიდროდ იარაზმებიან მშობლიური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

PRAVDA

15 ოქტომბრის მოწინავე

ხუთწლედი-ვადამდე!



ბუნებრივ სიმდიდრეთა საადგილო

სატყეო მეურნეობის მუშაკთა გადიდებული ვალდებულებანი

ხასოფლო-სამეურნეო წარმოება დასურილი ადგილმდებარეობის პირობებში დაკავშირებულია ტყეების მდგომარეობასთან. ზეობების გარშემო განლაგებული მთების კალთებზე გაშენებულია ტყეები, რომელიც იცავენ ნიადგს ეროზიისაგან, ინახავენ ტენს მდინარეებისათვის. ტყეების ნორმალურ მდგომარეობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ბორჯომის, საირმის, ზვარეს, ძაუს, სურის, ავადხარისა და სხვა ცნობილი მინერალური წყაროების დებიტი.

გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი ანიჭებენ 1974 წლისათვის ბორჯომის სატყეო მეურნეობის კოლექტივმა. ვალდებულებანი ითვალისწინებენ ტყეების საგულდაგულო მოვლასა და დაცვას, ტყეების აღდგენასა და სწორ ექსპლოატაციას.

სატყეო მეურნეობის მუშაკებმა გადაწყვიტეს ზეგეგმით განსაახლონ ტყეები 50 ჰექტარ ფართობზე, მიმდინარე წელთან შედარებით 10 პროცენტით გაადიდონ სათბურებიდან ნერგების გამოსავლიანობა, შეაგროვონ სხვადასხვა ხეს ჯიშის ასი კილოგრამი თესლი, დახეხონ 300 კუბური მერქანი, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ სამუშაოთა თვითღირებულება.

განსაკუთრებული უურადღება ეთმობა ახალი ნარგავების გაშენებასა და დაავადებისა და მავნებლებისაგან არსებული ნარგავთა დაცვას. განგრძობენ მუშაობას ნაძვის ლაფნიჭაშიის მოსპობისათვის. მიღებულია ვალდებულება ქიმიური პრეპარატებით დამუშაონ მავნებლებით დაზიანებული ხეთა ათასი ნაძვი. ვამავალებს ეგეტატიური მეთოდის გამოყენებით გაფართოონ ძვირფასი სახეობის წიწვოვანი ნარგავების, კერძოდ, ვერცხლისფერი ნაძვის ფართობი.

სატყეო მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ყველა სახეობის სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულოს 20 დეკემბერს. (საქინფორმი).

ტემპი, რიტმი

ჩვენი მიმოხილვა

მიღწევები ერთი წუთითაც არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. ცხრა თვის მუშაობის შედეგების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის მრეწველობის მთელ რიგ დარგებში, ცალკეულ საწარმოებში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. დიდია იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმებს ვერ ასრულებენ

და თავიანთი უხეირო მუშაობით უკან სწევენ რესპუბლიკის საერთო მაჩვენებლებს. ცხრა თვეში 100 საწარმომ, რომლებმაც გეგმა ვერ შეასრულეს, პროდუქციის რეალიზაციას 18 მილიონზე მეტი მანეთი დააკლეს.

ხამწუხაროა, რომ ჩამორჩენილ საწარმოთა სიაში არიან ხაკმაოდ მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები, გარდაბნის მუყაო-რუბერიოიდის ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა მხოლოდ 67 პროცენტით შეასრულა და საერთო პროდუქციის გამოშვებისა — 76 პროცენტით. ასევე სამარცხვინოდ ჩამორჩებიან აქაფ-დიატომიტის მაღაროთა სამმართველო, ხაშურის ხაფეიქროსაგალანტერეო ფაბრიკა, თბილისის ხამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკა, აგარის, ახალციხის, დუშეთის, ხაგარეჯოს საკონსერვო ქარხნები, რუსთავის ხახლთხამშენებლო კომბინატი, მარნეულის ხამკერვალო ფაბრიკა, ფოთისა და აბაშის რაიხამრეწველო კომბინატები, ტყიბულის № 2 შახტი, თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიის გაერთიანება და სხვ.

ახლა, როცა ხუთწლედის მესამე წლის უკანასკნელი კვარტალი დაიწყო, დარგობრივმა ხამინისტროებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ღრმა ეკონომიური ანალიზი უნდა გაუკეთონ ცხრა თვის შედეგებს, უნდა მიგვაღწიოთ იმას, რომ წლის ბოლოს არ იყოს არც ერთი ჩამორჩენილი საწარმო.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — თბილისის კოტოვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის „მწყობი-ზეინკლები (მარცხნიდან მარჯვნივ) — თ. ნაცვლიშვილი, ე. თათარაშვილი და ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. მანუკოვი, რომლებიც უკვე 1974 წლის ანგარიშში მუშაობენ; ქვემოთ — თბილისის სართავ-ხატრიკოტაჟო კომბინატის ხამკერვალო ხაამქროს მოწინავე მკერავი ო. კუპუხიძე, რომელიც ცვლის დავალებას გადაჭარბებით ასრულებს და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ლ. ხერხეულიძისა და ბ. თევზაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ

მეცხოველეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის

სსრ კავშირის კვების მრეწველობის ხამინისტროს კოლეგიამ და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს ხამინისტროს ხაბჭოთა მეურნეობების კოლექტივების მიერ ხაზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის სრულიად ხაკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1972 წლის მეოთხე კვარტალისა და 1973 წლის პირველი ნახევრის შესრულების შედეგები და დაჯილდოვეს გამარჯვეულნი.

„საქეთერზეთის“ ტრესტის ნაფიაკოვის ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის კვების მრეწველობის ხამინისტროსა და კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა, ფულადი პრემია და ავტომანქანა.

ხამინისტროსა და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხაპატიო სიგელით დაჯილდოდა „საქეთერზეთის“ ტრესტის ეროვნულ ეთერზეთოვანი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომელმაც გაიმარჯვა ხრულიად ხაკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. (საქინფორმი).

9 თვის დავალება — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ, ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად „საქსოფლტექნიკის“ მეხეთის რაიონულმა განყოფილებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მიმდინარე წლის ცხრა თვის გეგმების შესრულებაში. მეექანიზებულ ხატრაქტორო ხამუშაოთა გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით, ხარმონტაჟო ხახელოსნოს დავალება — 106,7 პროცენტით, ტრაქტორების ტექნიკური მომსახურებისა — 128,2 პროცენტით, მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისა — 114,3 პროცენტით.

ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების, ტრანსპორტით ტვირთზიდვის, ტრაქტორების შეკეთებისა და სხვა ყველა სახეში გათვალისწინებული გეგმები. ახლა განყოფილების კოლექტივი იმისათვის იბრძვის, რომ წლიური გეგმები 20 დეკემბრისათვის შესასრულოს. ეს რედაქციას აცნობეს „საქსოფლტექნიკის“ მეხეთის განყოფილების მმართველმა რ. ციხცაძემ, პარტბიუროს მდივანმა ი. ხუციშვილმა, ადგილკომის თავმჯდომარემ ქ. კიკნაძემ და კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ზ. ბოხოლაშვილმა.

გაჩაღდა შაქრის ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ

წელს შაქრის ჭარხალი ადრე დება 3.549 ჰექტარზე, ყველაზე მეტი — 1.169 ჰექტარი დათესილია ქარელის რაიონში. გორის რაიონში ამ კულტურას 912 ჰექტარი უჭირავს. გორელებმა შაქრის ჭარხალი აიღეს 134 ჰექტარზე. ჭალელის რაიონში აღებულია 207 ჰექტარზე, ხამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 91 ჰექტარზე. სულ აღებულია 622 ჰექტარზე.

თამბაქოს ᲨᲔᲢᲔᲮᲐ

თამბაქოს შეტეხის სეზონის დამთავრებამდე ცოტა დრო დარჩა. სულ რესპუბლიკაში წელს შეტეხილი უნდა იქნას 164.749 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით შეტეხილია 147.566 ათასი ზონარმეტრი თამბაქო. აჭარის მეთამბაქოეებმა თამბაქოს შეტეხის წლიური გეგმა შეასრულეს, ასევე გეგმა შეასრულეს ლაგოდეხელმა მეთამბაქეებმაც. აფხაზეთში შეტეხეს 64.146 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, ანუ გეგმის 81 პროცენტი. მარნეულელებმა გეგმა შეასრულეს 98 პროცენტით, ბოლნისელებმა — 70 პროცენტით.

ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘ

გულითადად მოგესალმებით უკანასკნელი წლების მანძილზე საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენის — პროფკავშირთა VIII მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს.

პროფკავშირები თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე რევოლუციური კლასის — მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაციაა. მთელ მსოფლიოში გაუხრელად ძლიერდება პროფკავშირების როლი და ამოცანები. პროფესიული ორგანიზაციები სოციალიზმის ქვეყნებში ახალი საზოგადოების აშენების სრულფასებანი მონაწილენი არიან, ისინი იქტიურად იბრძვიან კაპიტალის სამყაროში. მშრომელთა საარსებო ინტერესებისათვის, მონაწილეობენ კოლონიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ახალი ცხოვრების მშენებლობაში. საყოველთაოდ ცნობილია პროგრესული პროფკავშირული მოძრაობის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დიდი ღონისძიებანი მშრომელთა სოციალურ-ეკონომიური ინტერესების დაცვაში, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან მტკიცე ავტორიტეტი მოიხვეჭა მსოფლიოს ყველა კონტინენტის მშრომელთა ფართო მასებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა პროფკავშირების საქმიანობას, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, კომუნიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდაში, შრომის ადამიანთა კანონიერი ინტერესების დაცვაში. პარტია მხარს უჭერს პროფკავშირთა საერთაშორისო საქმიანობას სხვა ქვეყნების პროფკავშირებთან ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაფართოებისათვის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს თავიანთი თავი მიაჩნიათ საერთაშორისო მუშათა კლასის განუყოფელ ნაწილად, ცდილობენ ყველაფერი აღმონონ მშრომელ ადამიანთა კავშირის განსამტკიცებლად და ნათელი მომავლისათვის მათი ბრძოლის გასამარჯვებლად. დიდი ლენინის ანდერძის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეების ერთგულნი, ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს თავიანთ კლასობრივ ძმებს სხვა ქვეყნებში.

მუშათა კლასის შეკავშირება და მონოლითურობა მის მიღწევათა და გამარჯვებათა წყაროა, იმპერიალიზმისა და მონოპოლიების წინააღმდეგ ბრძოლაში ახალ წარმატებათა საწინდარია. ამ ბრძოლაში სულ უფრო მეტი ობიექტური წინამძღვრება ექმნება ყველა პროფკავშირის მოქმედების ერთიანობის შემდგომ განვითარებას შრომელთა კლასობრივი ინტერესების დაცვის საფუძველზე.

ახლა საერთაშორისო ვითარებაში ხდება შემობრუნება „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შეხლებისა და თანამშრომლობისაკენ, მკვიდრდება სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. ჩვენი პარტია, რომელიც თავის XXIV ყრილობაზე მშვიდობის პროგრამა წამოაყენა, ყოველ ღონეს ხმარობდა და იბრძოლა იმისათვის, რომ ეს შემობრუნება შეუქცევადი გახდეს. ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა კლასობრივი პოლიტიკაა. რა ნაბიჯიც უნდა გადადგას საბჭოთა კავშირმა მსოფლიო ასპარეზზე, იგი ნაკარნახევია მისწრაფებით წინ წასწიოს ხალხთა მშვიდობის, უშიშროების, ეროვნული განთავისუფლების საქმე, ეს კი შეესაბამება მუშათა კლასის, დედამიწის ყველა მშრომელთა მისწრაფებებს.

ჩვენ მივგვანია, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში მომძაფარი პოზიციური ძარღვი, რომელიც თანამედროვეობის მთელი პროგრესული ძალების ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის მეოხებით გახდა შესაძლებელი, ხელს უწყობენ მუშათა კლასს სხვადასხვა პროფესიული ორგანიზაციების თანაშრომლობის განმტკიცებას.

გამოვიქვამ იმედს, რომ ფართო კონსტრუქციული პროგრამა, რომელსაც პროფკავშირთა VIII მსოფლიო კონგრესი შეიმუშავებს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო მუშათა კლასს ყველა რაზმის ერთიანობას მშვიდობის, დემოკრატიის და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ეუსურვებ პროფკავშირთა VIII მსოფლიო კონგრესის მონაწილეებს დიდ წარმატებებს მუშაობაში.

ლ. ბრეჟნევი.

ᲞᲐᲣᲠᲘ ᲑᲣᲛᲔᲓᲘᲔᲜᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

14-15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ საბჭოთა კავშირში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ჰუარი ბუმედიენი.**

საბჭოთა ხელმძღვანელებსა და ჰუარი ბუმედიენს შორის გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ა. ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი **ა. ა. გრეჩკო;** ალჟირის მხრივ: ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ჰუარი ბუმედიენი,** რევოლუციური საბჭოს წევრი, სახელმწიფო მინისტრი **ბელყასემ შერიფი,** რევოლუციური საბჭოს წევრი **ამმედ დრაია,** უმაღლესი განსაკუთრებულ და მეცნიერული კვლევის მინისტრი **მუჰამედ ბენიაჰია,** მე-3 სამხედრო ოლქის სარდალი **პოლკოვნიკი ჰაჯ მუჰამედ ზერგინი,** ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **რედა მალეკი.**

მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს ვრცლად გაუხაზარეს აზრი ახლო აღმოსავლეთში არსებული ვითარების ახალი გამწვავების შესახებ, რაც ისრაელის იმპერიალისტურმა აგრესიამ გამოიწვია, აგრეთვე იმსჯელეს სხვა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებსა და მთელი მსოფლიო თანამედროვე მდგომარეობაზე. მხარეებმა დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველნაირად შეუწყონ ხელი ისრაელის მიერ ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიების განთავისუფლებას.

განიხილეს აგრეთვე ალჟირისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები.

მოლაპარაკებამ მეგობრულ, გულახდილ ვითარებაში ჩაიარა.

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘᲡ საბჭოთა მთავრობის მოწვევით საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა დანიის პრემიერ-მინისტრი **არკერ იორგენსენი.**

დანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმებით მორთულ ვნუკოოს აეროდრომზე ანკერ იორგენსენს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ნ. კოსიგინი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პირველი მოადგილე **კ. ტ. მაზუროვი,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყო დანიის ელჩი საბჭოთა კავშირში **ვენსელ ულრიკ ჰამერსჰაიმბი.**

საფრენ მოედანზე ჩამწკრივებული იყო სამპატიო ყარაული და შესრულდა დანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ანკერ იორგენსენმა და ა. ნ. კოსიგინმა ჩაუარეს საბჭოთა მეჯოგრების მწყობრს.

დანიის მთავრობის მეთაურს აეროდრომზე მიესალმნენ დეიდაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

აეროდრომიდან საპატიო სტუმარი გეიმეზაღრა მისთვის გამოყოფილ რეზიდენციაში. პროსპექტები და მოედნები, რომლებითაც ავტომანქანების კორტეჟმა ჩაიარა, მორთული იყო დანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმებითა და მისასალმებელი ტრანსპარანტებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, დანიის პრემიერ-მინისტრო ანკერ იორგენსენ!“, „დაე, ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირისა და დანიის მეგობრული ურთიერთობა!“ (საკდესი).

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲙᲘᲔᲕᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ, 15 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). დღეს კიევინოვში გაიხსნა სრულიად საკავშირო კონფერენცია თემაზე „სკკპ XXIV ყრილობა და ორი სისტემის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური შეჯიბრების თანამედროვე ეტაპი“. კონფერენცია მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „ომპლექსური პრობლემების „ორი სისტემის ეკონომიური შეჯიბრების“ სამეცნიერო საბჭომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტმა და მოლდავეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა.

კონფერენციაზე შესავალი სტატუა წარმოთქვა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ა. ბოდიულმა.

პარტიული ცხოვრება

თვითდაფინანსვიდან ტყვეობაში

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ქუთაისის ახალი საკონდიტრო ფაბრიკა საექსპლოატაციოდ 1971 წელს გადაეცა. ახალ საწარმოს, მით უფრო ისეთს, რომელიც ძირითადად უცხოური წარმოების მანქანა-დანადგარებით არის აღჭურვილი, თან სდევს სიძნელეები ,,კადრების მომზადებისა და გადამზადების, საწარმოო სიმძლავრეთა ათვისების საქმეში. ამას ვერც ეს საკონდიტრო ფაბრიკა ასცდა, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მისმა შრომითმა კოლექტივმა სათანადოდ გაართვა თავი სიძნელეებს და ახლა გამართულად მუშაობს.

ფაბრიკის საპროექტო სიმძლავრე წლიურად 6.500 ტონა ნაწარმს შეადგენს. დაწესებული გეგმით საწარმოს საპროექტო სიმძლავრისათვის ხუთწლედის დამამთავრებელ, 1975 წლისათვის უნდა მიეღწია, მაგრამ აქ აწონ-დაწონეს შესაძლებლობანი და მომავალ 1974 წლის შემოვლებრ გეგმაში ივარაუდეს მისი ათვისება.

ყოველივე ეს მისასალმებელია, კარგია ისიც, რომ ფაბრიკამ 101,6 პროცენტით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის 9 თვის დაგალება. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 113 ათასი მანეთის პროდუქცია, ანუ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა თითქმის 50-55 პროცენტით გაიზარდა, ათვისებულია და მალე სასეალუფოდ ექსპლუატაციაში ჩაერთვება ნიშნის მისაკუთვნებლად წარდგენილ იქნება 6 სახის პროდუქცია. ყოველივე ამის მიუხედავად ,,ასაკოვანებელი ჯერ კიდევ ბევრია და კოლექტივს მიღწეული წარმატებანი თვითდამშვიდების უფლებას როდი აძლევს.

მოველოდით, რომ ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელიც აქ ამ დღეებში გაიმართა, სწორედ არსებულ ნაკლოვანებებზე, მათი გამოსწორების გზებზე, უკეთესი მაჩვენებლების მოპოვებასა და პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაიმჯობესებაზე გამახვილდებოდა ყურადღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა.

უნდა ვაღიაროთ, ეს ,,ეხება ,,ეხება, რომ არც საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც პარტბიუროს მდივანმა გ. ფოცერიძემ წარმოადგინა, და არც მოკამათეთა გამოსვლებში საფუძვლიანი ანალიზი არ გაუკეთებიათ არსებული ნაკლოვანებებისათვის, უფრო სამეურნეო მუშაობის გაზრდილთან დაკავშირებულ ,,ბრბოლა-ბრბოლა-ბრბოლა, ,,ბრბოლა-ბრბოლა-ბრბოლა, ,,ბრბოლა-ბრბოლა-ბრბოლა,

ინდოეთი

მივესალმეგით ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტს

...დელი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ხალ...ოგადოების კულტურული ურთიერთობის განვითარების ეროვნულმა ...საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც მხურვალედ მიესალმება სკკპ ...ენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მო...ვალ ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტს ინდოეთში.

„სულერთია და გულით მივეესალ...ებით ლ. ი. ბრეჟნევს, დიდი ...ბჭოთა კავშირის გმირჩენილი ...ლმძღვანელს, ინდოეთის გულ...ოელი, ნაცადი მეგობრის ვი...ტს“, — ნათქვამია დოკუმენ...ში.

„ღონისძიებებს, რომლებსაც ...ი. ბრეჟნევი მიმართავს საერ...შორისო დაძაბულობის შენე...ებისათვის, — აღნიშნავს ერა...ული საბჭო, — საყოველთაო ...ვადობის უზრუნველყოფისათ...ვის, შხარს უჭერენ ყველა კონ...ინენტის ხალხები. უეჭველია, ...კკ ცენტრალური კომიტეტის ...ენერალური მდივნის ვიზიტი ინ...ოეთში დიდმნიშვნელოვან როლს ...ასრულებს სამხრეთ აზიის სუბ...ინტინენტზე მეტი სტაბილურო...ის უზრუნველყოფაში, აზიის ...ვიდობისა და უშიშროების ძა...ების განმტკიცებაში“.

„ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი, — ...ნთქვამია განცხადებაში, — კი...ოეთ ერთი. დიდმნიშვნელოვანი ...ნაბიჯი იქნება სსრ კავშირი...ს და ინდოეთის ურთიერთობის ...ველა სფეროში მეგობრობისა და ...ანამშრომლობის ურთიერთობის წარმატებული განვითარების გზაზე, ურთიერთობისა, რომელიც უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა 1971 წლის აგვისტოში ხელმოწერილმა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, მშვიდობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვიზიტი ხელს შეუწყობს აგრეთვე იმ ძალების კონსოლიდაციას, რომლებიც იბრძვიან საყოველთაო მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის, რასიზმის წინააღმდეგ, სოციალური სამართლიანობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მეტი კაცობრიობის პროგრესისათვის“.

განცხადების დასასრულს აღნიშნულია, რომ ეროვნული საბჭო გეგმავს მთელ რიგ ღონისძიებებს, რათა „გულთბილი და გულითადი მასპინძლობა გაუწიონ მშვიდობის წარმომადგენლებს. ეს ღონისძიებანი განხორციელდება ქვეყნის მთელ პროგრესულ და პატრიოტულ ძალებთან, ინდოეთის ყველა დემოკრატიული ფენის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით“.

ამერიკის შეერთებული შტატები

X. ფორდი — ვიცე პრეზიდენტობის კანდიდატი

...ვაშინგტონი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქ...სონმა გამოაცხადა, რომ გადაწყ...ტა ამერიკის შეერთებული ...ტატების ვიცე-პრეზიდენტის ...ოსტზე წამოაყენოს კონგრესის ...ანმომადგენელთა პალატის რე...უბლიკური ფრაქციის ლიდერ ჯ. ფორდის კანდიდატურა. ...ს პოსტი ვაკანტური აღმოჩნდა ...აგნიუს გადადგომის გამო. ჯ. ...ორდის კანდიდატურა ხმის უმ...ავლესობით უნდა დაამტკიცოს ...ონგრესის ორივე პალატამ.

...როცა თავისი გადაწყვეტილე...ა გამოაცხადა, რ. ნიქსონმა აღ...ნშნა, რომ ახლა ვიცე-პრეზი...ენტის პოსტზე უნდა იყოს ადა...ი, რომელიც იზიარებს პრე...იდენტის შეხედულებებს საგა...ეო პოლიტიკისა და ეროვნული თავდაცვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და უნარი შესწევს იღვწოდეს იმ პროგრამების დამკვიდრებისათვის, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვთ ქვეყნისათვის.

ჯერალდ ფორდი დაიბადა 1913 წელს ქალაქ ომაჰაში (ნებრასკის შტატი). მიჩიგანისა და იელის უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ რამდენიმე წლის მანძილზე იურისტის პრაქტიკა ჰქონდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა სამხედრო-საზღვაო ფლოტში. ჯ. ფორდი კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში პირველად აირჩიეს მიჩიგანის შტატისაგან 1949 წელს. 1965 წლიდან იგი რესპუბლიკელთა ლიდერია წარმომადგენელთა პალატაში.

მაღალი შეფასება

...ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ამერიკის საქმიანი ...რეები და პრესა მაღალ შეფა...ებას აძლევენ საბჭოთა კავში...ის ბეგრი სახეობის სამრეწველო პროდუქციის ტექნიკურ მა...ახიადებლებს. მაგალითად, გა...ეთი „ერისონ საიენს მონიტორი“ წერს, რომ დასავლეთში ჩი...ებულ შეფასებას აძლევენ საბ...ოთა სამგზავრო თვითმფრინა...ებს მათი ტექნიკური სრულ...ოფისათვის, სიმარტივისა და ...ექსპლოატაციის დროს საიმე...ოებისათვის.

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ...ერთაშორისო საავიაციო ბა...არზე დიდი ინტერესით მოე...ოდნენ „ტუ-155“ ზებგერითი სამ...ზეგრო ლაინერის გაყიდვის ...ეკითხვებს. „საბჭოთა კავშირს, — ...ნთქვამია ამავე სტატიაში, — ...ასავლეთის ბაზრების გაჩხნაში ...ელს უწყობს „იაკ-40“, მოკლე გარბენის მქონე თვითმფრინავი, რომელიც 32 მგზავრისთვისაა გათვალისწინებული“. „ერისონ საიენს მონიტორი“ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ უკვე დაიწყო მოლაპარაკება ამერიკის მრეწველებთან „ლიცენზირების დეტალებზე“.

გაზეთის სიტყვებით, საბჭოთა კავშირი „წარმატებით გამოდის საერთაშორისო საავიაციო ბაზარზე“.

საფრანგეთი

დაიხურა ავტოსალონი

...პარიზი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). დაიხურა მე-60 საერთაშორისო ავტოსალონი, რომელიც ...დან 14 ოქტომბრამდე მიმდინარეობდა საგამოფენო კომპლექსის ტერიტორიაზე პარიზის ვერსალის კართან. მასში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 24 ქვეყნის, მათ შორის ევროპის, ამერიკის ქვეყნებისა და იაპონიის ათასზე მეტმა საავტომობილო ფირმამ და კომპანიამ. დიდი წარმატება-ხვდა საბჭოთა ავტომობილებს „ჟიგულის“ და „მოსკვიჩ-412“, რომლებიც წარმოდგენილი იყო სალონზე.

...ახლანდელი სალონის თავისებურება ... საზოგადოების ინტერესის ზრდა მცირე ავტომობილებისადმი. მზარდი საქალაქო ტრანსპორტის პირობებში ასეთი ავტომობილები უეჭველად მოგრებულია მათი მფლობელებისათვის. მაგრამ არა მარტო ეს განაზღვრავს არჩევანს. სიჩქარის შეზღუდვის ღონისძიებანი უამრავი საავტომობილო კატასტროფის ...ამ, რომლებსაც მოსდევს ...ასვერალი, ფასებისა და ცხოვ...ების ღირებულების ზრდა, საწ...ავის მომარაგებაში შეფერხების ...ში — ყველა ეს ფაქტორი ასრულებს თავის როლს, ამასთან, როგორც თვით ავტოკონსტრუქტორები აღიარებენ, საკმაოდ მნიშვნელოვან როლს.

...ჩილეს ხალხი გაიმარჯვებს!

...რომი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ...ილეს კომუნისტურმა პარ...ტიამ, რომელიც იტალიაში პირველებში ...ანაგრძობს ბრძოლას სამხედრო-ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ჩილეში, გამოაქვეყნა მიმართვა „ჩილელი ხალხისადმი“. მიმართვა არალეგალურად გავრცელდა ჩილეში.

ახლანდელმა რეჟიმმა, ნათქვამია ჩილეს კომუნისტური პარტიის მიმართვაში, „ქვეყნის მთელი ისტორიის განმავლობაში უმაგალითო ტერორისა და ძალადობის ვითარება შექმნა. ლიკვიდირებულია ყველა თავისუფლება. უჩვეულო სიხასტიკით ხორციელდება დამსჯელი ოპერაციები სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ. ქვეყანაში დამყარებულია ფაშისტური დიქტატურა, მიმდინარეობს მასობრივი დახვრეტა, ილახება მშრომელთა უფლებები“.

ჩილეში სახელმწიფო გადატრიალების იდეა, აღნიშნულია მიმართვაში, წარმოიშვა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს კაბინეტებში სატელეგრაფო სატელეფონო და „ქენეკოტ კოპერ კორპორეიშნის“ მონოპოლიებთან უშუალო შეთანხმებით. ჩილეს კომპარტიის მიმართვაში მხილებულია სიცრუე და ცილისწამება პუტჩისტური ხუნტისა, რომელიც ცდილობს გაავრცელოს მონაჭორი იმის შესახებ, რომ თითქოს შეიარაღებული ძალების წინაშე „დაისახა ალტერნატივა — თვითონ დასხმოდნენ თავს ან განეცადათ თავდასხმა“. ეს მონაჭორი იმპერიალისტთა და ქვეყნის შიგნით მათ ფაშისტ ხელშემწყობთა უხეში ცდაა თავი გაიმართლონ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა საყოველთაოდ დაგმობის წინაშე, ნათქვამია დოკუმენტში.

რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ შემთხვევითი როდია. კომუნისტები მიაჩნია სამხედრო ხუნტას თავის მთავარ ხელშემტად, ამიტომ გამოაცხადა მან კომუნისტური პარტია კანონგარეშე.

ჩვენ უწინარეს ყოვლისა მუშათა კლასის ინტერესების წარმომადგენლნი ვართ. და ეს ინტერესები ემთხვევა მშრომელების, მთელი ხალხის ინტერესებს. ეს არის ჩვენი მომავალი გარდუვალი გამარჯვების საწინდარი.

„ჩილელი ხალხისადმი“ მიმართვაში დასახულია პროგრამა კონკრეტული მოქმედებისა. რომელიც უნდა განახორციელოს ხალხმა, და უწინარეს ყოვლისა ჩილეს მშრომელებმა, რათა აღადგინონ თავისუფალი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი ხასელმწიფო.



მსოფლიოს საზოგადოებრიგობა უცხადებს ჩილელ ხალხს და გმობს ხუნტის რეპრესიებს. (გდრ).

საერთაშორისო კონტაქტები

მეცნიერთა ...ეშ თანამშრომლობა

ვაშინგტონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მედიკა მეცნიერთა თანამშრომლობა. უკვე ბევრი რამ გაკეთდა წლინახევრის მანძილზე იმ მომენტიდან, რაც მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მედიცინის მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ. მოეწყო ორი ქვეყნის მეცნიერთა მრავალი შეხვედრები, სიმპოზიუმები და „კონფერენციები, მიმდინარეობს მეცნიერთა ლელეგაციების გაცვლა.

ახლა გაცვლის პროგრამით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გულისა და სისხლძარღვების ქირურგიის ინსტიტუტის პროფესორი ა. ვ. პოკროვსკი. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მან თქვა, რომ დათვალიერა ამერიკის შეერთებული შტატების მთელი რიგი სამედიცინო სამეცნიერო დაწესებულებანი, გაეცნო მათს მუშაობას. ახალ ექსპერიმენტულ ნამუშევრებს, გულისა და სისხლძარღვების დაავადებათა დიაგნოსტიკის მეთოდებს.

ორი ქვეყნის მეცნიერები, თქვა მან, დიდ ყურადღებას უთმობენ ათეროსკლეროზის წარმოშობისა და გავრცელების მიზეზების შესწავლას და ამ მახობრივი დაავადების მკურნალობის მეთოდების შემუშავებას.

იაპონია

საბჭოთა მევიოლინეების გასტროლები

ტოკიო, 15 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიის დედაქალაქში დიდი წარმატებით დაიწყეს გამოსვლები საბჭოთა მევიოლინეებმა — მამაშვილმა კოგანებმა.

გასტროლების დროს ლეონიდ და პაველ კოგანები 11 კონცერტს გმართავენ ტოკიოში, ოსაკაში, სენდაიში, საპოროსა და სხვა ქალაქებში, აგრეთვე ოკიკავაში, ისინი იქნებიან პირველი საბჭოთა მუსიკოსები, რომლებიც მაყურებელთა წინაშე გამოვლენ.



ᲨᲕᲔᲓᲔᲑᲘ — ᲧᲐᲕᲘᲡ ᲡᲛᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ

როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველწლიური სტატისტიკა მოწმობს, ყველაზე მეტ ჩაის სვამენ ირლანდიელები. პირველი ადგილი ყავის სმაში იკუთვნით შვედებს (ყოველწლიურად 1 კილოგრამი ყოველ მცხოვრებზე), თურქეთში, სადაც თითქოს ყველაზე მეტ ყავას სვამენ, ერთ მცხოვრებზე მოდის მხოლოდ 0,14 კილოგრამი.

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡ... ᲙᲐᲗᲔᲓᲠᲐ

უტრეხტი (ჰოლანდია) უნივერსიტეტის პროფესორმა კორნელიუს ვან კერეგმა აღძრა შუამდგომლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე, რომ შეიქმნას იუმორის კათედრა. მას იმედი აქვს, რომ ასეთ ინიციატივას მხარს დაუჭერს მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტი, რაც, პროფესორის აზრით „ემედეთი ნელილი იქნებოდა ჩვენს ბლანტებულ მშვიდობის შენარჩუნების საქმეში“, ერთ-ერთი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ, მისი აზრით, იუმორის გრძნობა ათასლეტის სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს ან ხელს უწყობს მათს ურთიერთგაგებას.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲛᲐᲦᲚᲕᲘᲫᲐᲠᲐ

ᲫᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ გამოგონებათა სალონში ექსპონირებულია უჩვეულო საათი-მაღვიძარა. იგი განკუთვნილია ნერვიული ადამიანებისათვის, რომელებსაც აღიზიანებთ მაღვიძარას ზარის წკრიალი. ასეთი პოტენციური მომხმარებლებს მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ფირმამ საათი აღჭურვა სპეციალური ვიბრატორით, რომელიც უერთდება საწოლს. დადგენილ დროს ვიბრატორი ჯერ ნელი, ხოლო შემდეგ შედარებით ძლიერი რხევით აღვიძებს პატრონს.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ

**ეს საკაბელო ოდენობა, რომელიც ინგლისის გაზეთმა „ტაიმსმა“ დაანგარიშა, მიეცემა ჯონ სარქსს, მან იოლად დაამარცხა თამაში მეტოქეები. სარქსმა კროსვორდის ამოხსნის სარეკორდო დრო აჩვენა — სამნახევარი წუთი. აღმათ, მისი წარმატება იმით აიხსნება, რომ სარქსი ექსპერიმენტებს ატარებდა, რომ, მისი აზრით, ადამიანებს ზოგიერთ ფენებში ერთ-ერთ ადგილზე ერთ ნელი, ხოლო შემდეგ ... ...

თბილისს — ეჭვეანე ზღვა

ამას წინათ ათასობით თბილისელი — ფაბრიკა-ქარხნების, მშენებლობების, ტრანსპორტის მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სტუდენტები — გამოვიდა შაბათობაზე, რათა ამოეთხარათ ორმოები ქალაქის მიდამოებში ხეების დასარგავად. თბილისელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს მიმდინარე თვის ყოველ შაბათ დღეს იმუშაონ, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებაში.

დილიდანვე შაბათობის მონაწილეებით სავსე ათობით ავტობუსი გაემართა ლოტკინის, კოჯრის, თელეთის, წყნეთისა და შავნაბადას მიმართულებით. იმ დღეს თბილისელებმა ათასობით ორმო ამოთხარეს ქალაქის გარშემო.

სურათებზე: ზემოთ — თბილისის ვ. პატონის სახელობის ელექტროშესადუღებელი მოწყობილობის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი შავნაბადას მიდამოებში; მარცხნივ — ფაბრიკა „კომკავშირელის“ მუშები შაბათობაზე.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

თბილისსა და ყაზბეგში

50 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შესანიშნავი ქართველი მეცნიერის, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ბრწყინვალე ასვლა კავკასიონის ერთ-ერთ უდიდეს მწვერვალზე — მყინვარწვერზე. ეს იყო 1923 წელს — პირველი საბჭოთა ასვლა.

უკვე ნახევარი საუკუნე გადაირბინა ამ დიდებულ დღეს — ნახევარი საუკუნე, რომელმაც უფრო გამობრძმედა და შორს გაუთქვა სახელი საბჭოთა მთამსვლელობას.

დიდი ზეიმი აქვთ ახლა ჩვენს ალპინისტებს. და ამ სახელოვანი იუბილეს მთავარი სარბიელი, ცხადია, საქართველოა.

დღეს, დილის 10 საათზე თბილისში ალ. ჯაფარიძის სახელობის ალპურ კლუბში შედგება სსრ კავშირისა და საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციების გაერთიანებული საიუბილეო პლენუმი.

დიდი და სანტერესო პროგრამა შეადგინეს იუბილეს ორგანიზატორებმა. პლენუმის საზეიმო გახსნის შემდეგ მოხსენებით „საბჭოთა ალპინიზმის 50 წელი“ გამოვა სსრ კავშირის ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე ა. ბოროვიკოვი. მას შეცვლის საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის თავმჯდომარე, დოცენტი ო. გიგინეიშვილი, რომელიც წაიკითხავს მოხსენებას „ქართული მთამსვლელობა ნახევარი საუკუნის მანძილზე“.

სალამოზე მოგონებებითა და მასალებით გამოვალენ ლიტერანი და ახალგაზრდა მთამსვლელები.

პლენუმის მუშაობის მეორე დღეს იუბილეს მონაწილენი დაესწრებიან ალპინისტური ფილმების კინოფესტივალს, შეხვდებიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ალპინისტებს, გამართავენ სამეცნიერო კონფერენციას.

18 ოქტომბერი დაეთმობა ქალაქის დათვალიერებას, ეკსკურსიას თბილისის მიდამოებში, ავრეთვე ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუშაობის გაცნობას.

საიუბილეო პლენუმს მოჰყვება ალპინისტურ ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის (უიაა) გენერალური ასამბლეის მუშაობა, რომელიც პირველად იწყობა ჩვენს ქვეყანაში. იგი გაიმართება თბილისში და ითვალისწინებს ყაზბეგში გამგზავრებას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დელეგატები იუბილესა და ასამბლეის დღეებში კიდევ უფრო ახლოს გაიცნობიან საბჭოთა ალპინიზმს, საქართველოს თამამსვლელობას.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!



სსრ კავშირის პირველობაზე

ჭადრაკი

ილევ სპასკი

ხულ ორიოდე დღის წინ უმაღლეს ლიგაში მონაწილეთა დიდ ჯგუფს არა ჰქონდა დამარცხება. ახლა კი დამარცხებულთა რიცხვი შემცირდა.

მეცხრე ტურში კარპოვმა პირველი დამარცხება მიაყენა კუზმინს, სპასკიმ — სმისლოვს. ყაიმზე შეთანხმდნენ რაშკოვსკი-პეტროსიანი, კერესი-ავერკინი, პოლუგაევსკი-ვეელერი.

დიდი ინტერესი გამოიწვია გადადებული პარტიების დამთავრებამ, განსაკუთრებით კი კარპოვ-სპასკისა და პეტროსიან-კარპოვის შეხვედრებმა. პირველში კარპოვს მატერიალური უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მისი გამოყენება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამრიგად, სპასკიმ ყაიმს მიაღწია. რაც შეეხება კარპოვს, მან ვერ შეძლო მძიმე პოზიციის ხსნა და წააგო პეტროსიანთან. ეს კარპოვის პირველი დამარცხება და პეტროსიანის... პირველი გამარჯვებაა. პირველი პარტია წააგო აგრეთვე გალერმა — ტუკმაკოვთან, სვეშნიკოვმა მოუგო გრიგორიანს, ტალმა — კერესს (ეს კერესის პირველი დამარცხებაა), ტაიმანოვმა — ტალს, კორჩნოიმ ერთბაშად 3 პარტია მოიგო — რაშკოვსკისთან, სმისლოვისა და ავერინთან. სპასკი ყაიმზე შეუთანხმდა პოლუგაევსკის. სვეშნიკოვის ორი პარტია — ტაიმანოვისა და ბელიავსკისთან კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

9 ტურის შემდეგ 6,5 ქულით პირველი ადგილზეა სპასკი. მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კარპოვი და კორჩნოი.

მცირე შესვენება

ბოლო ტურები თბილისში, პირველ ლიგაში ძალიან ცხარე ბრძოლით აღინიშნა. ამან ზოგ მონაწილეს საფუძველი მისცა მერვე ტურში „მცირე შესვენება“ მოეწყო. ბრონშტეინი შავებით მოგებისაკენ მიისწრაფოდა ახალგაზრდა ოსტატ მაკარიჩევთან. მან შესწირა პიანი და შეიცადა ინიციატივის დაუფლებას. ახალგაზრდა ოსტატებს ერთი კარგი თვისება აქვთ— სრულიადაც არ უფრთხიან გროსმასტერთა აკტორიტეტს. მაკარიჩევმა შეძლო მუქარის აცილება და ყაიმს მიაღწია. ასეთივე შედეგით დასრულდა ვასიუკოვ-ფურმანის, პოდგაეც-დეორეკის, რაუზეევ- კლოვანისა და ეფიმოვსკი-ბაგიროვის პარტიები.

ჯინჯიხაშვილ-გუფელდის პარტიაში თეთრებმა პიანი შესწირეს და რამდენადმე უკეთესი პოზიციაც მიიღეს. შუა თამაშში მდგომარეობა გათანაბრდა და ამ შეხვედრაშიც ყაიმი აღინიშნა.

სამი პარტია ვადაიდო. ვაპანიანს მცირე უპირატესობა აქვს პალატნიკთან, ოსნოსს — კუნჯისთან. დასწორებით თანაბარი პოზიციაა ვიორგაძე-ზილბერშტეინის შეხვედრაში.

მეცხრე ტურში ჯინჯიხაშვილმა შავებით სიცილიური დაცვა აირჩია ბრონშტეინთან. შუა თამაშში, უაღრესად მწვავე პოზიციაში თბილისელმა ოსტატმა ბრწყინვალედ წარმართა იერიში. ეტლის შეწირვით მან გროსმასტერის მეფე საშამათო ქსელში მოაქცია. ზილბერშტეინმა მოუგო კუნჯის. ყაიმზე შეთანხმდნენ დვორეცკი-ვასიუკოვი, ბაგიროვ-ვაპანიანი და ოსნოს-ცეშკოვსკი.

9 ტურის შემდეგ ფურმანსა და ვაპანიანს 5,5 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ, ბრონშტეინსა და ჯინჯიხაშვილს — 5,5 ქულა თვითეულს.

ვ. ბამრეკელი.

ახალი საკავშირო

თბილისს ველოტრეკზე მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშება, რომელშიც პროგრამის გარეშე გამოდიან სალიდერო რბოლის ოსტატები.

საუკეთესოდ ისპარეზეს თბილისელებმა ო. პროკოპენკომ და ლიდერმა ი. კავსაძემ, რომლებმაც ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარეს 25 კილომეტრზე რბოლაში — 18 წუთი და 31,9 წამი.

საინტერესოდ მიმდინარეობს აგრეთვე წყვილთა მრავალდღიანი შეჯიბრება, სადაც საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად გამოდიან ნიდერლანდის, ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის ველოსიპედისტები. თავიდანვე დაწინაურდნენ ჩეხოსლოვაკიელები (ი. ბლაგა — მ. ელინეკი), მაგრამ შემდეგ მათ გაუსწრო საბჭოთა დუეტმა ა. ხრისტენოკმა და ი. კუჩერიავიმ.

გიტი 1.000 მეტრზე მოიგო ტუელემა თ. პიელშჩიკოვამ — 37,04, ხოლო სპრინტერული რბოლა ვ. კოპილოვმა (რუსეთის ფედერაცია), თბილისელი, მ. გაგნიძე მეექვსე ადგილზე გამოვიდა და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. უნიორთა შორის ინდივიდუალურ რბოლაში გამოდეგენილი 4 კილომეტრზე თბილისელი უ. იფანოვი მესამე ადგილზე გამოვიდა.

ბ. კენჭაძე.

ჩვენი თანამემამულენი

„კომეტის“ მეთაური

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც გენერალ-კორელმა გიორგი კინტირაია ძეთაური მუზეუმის ფორმა ჩაიცვა. ამჟამად იგი ყველაზეფრთებიანი გემის კაპიტანია. „კომეტა-15“ სოჭის ნავსადგურში 1962 წელს მიაღწია. ამ გემის პირველი კაპიტანი გ. კინტირაია იყო. შემდეგ მან სხვებს შეასწავლა „კომეტის“ მართვა, ალა თვითონაც მტკიცედ დგას ახალი „კომეტის“ საჭესთან, რომელიც დადის სოჭი-ქერჩის და სოჭი-ბიჭვინთის ხაზებზე.

თუ როგორ შრომობს სოჭში ქარადგული კაპიტანი, ამაზე ახლახან თავის მკითხველებს ვრცლად მოუთხრობ ხოვორუსიისკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ხაზეკავი ნახანოსის გაზეთმა „ჩერნომორეცმა“, სადაც დაბეჭდილია კაპიტანის სურათიც. გემის ბორტზე წარწერილია მრავლისმთქმელი სიტყვები „კომუნისტური შრომის „კიპარე“. იგი მუდამ დიდი გადამეტებით ასრულებს



გეგმებს, დიდი სიყვარულით სარგებლობს სანაოსნოს გემების კოლექტივთა შორის.

კაპიტანი გ. კინტირაია გემის კოლექტივის სული და გულია. მორიგე კაპიტანი ი. ჩერეკანი, უფროსი მექანიკოსი ა. ნიკელსკი, ცვლის მექანიკოსი ლ. ლიციევი და სხვები მუდამ მაარში უდგანან „კომეტის“ მეთაურს. აი მგზავრთა ჩანაწერები საბორტო ჟურნალში: „უმადლობთ გულისხმიერებისა და კარგი მომსახურებისათვის, ღირსი ხართ ატაროთ კომუნისტური შრომის ეკიპაჟის სახელი“. ამას წერენ ანგარსკელი დამსვენებლები. „დიდად კმაყოფილი ვართ თქვენი მომსახურებით. გემი მიგყავთ კარგად, ხასიამოვნოდ“. ამ სტრიქონების ავტორები არიან მოსკოველები ნ. იასნოვი, ი. ნოვიცკი.

შრომისმოყვარე ქართველი კაპიტანი პატივისცემითა და სიყვარულით არის გარემოსილი.

ბ. მილიუტინი,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

გედნიერი ბილეთით

ამბროლაურის შემნახველ სალაროში ხოფელ ზედა შავრას მკვიდრმა ა. ი. რაზმაძემ წარმოადგინა საქართველოს ფულისა და ნივთების 1973 წლის მეშვიდე გამოშვების ლატარიის ბილეთი (სერია 57286, № 353), რომელმაც ავტომობილი „ეიგული“ მოიგო. ბედნიერი გამოდგა აგრეთვე თლეულში მცხოვრებ ლ. ბ. ქემოკლიძის ბილეთი, რომელმაც ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“ მოიგო.

აპ. კერძელიძე.

ემინდი

დღეს, 16 ოქტომბერს, დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, დაუბერავს აღმოსავლეთის ქარი 5-9 მეტრი წამში, მდინარე რიონის ხეობაში 15-19 მეტრი წამში. ტემპერატურა: ბარში 24-28 გრადუსი სითბო, მთაში 18-22 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთ რაიონებში მცირე წვიმა, ზოგან ჩამოწვება ნისლი, იქროლებს სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში 18-22 გრადუსი, მთაში 14-18 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია მცირე წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 20-22 გრადუსი სითბო.

სწავლასა და შრომაში

პროფესორ - მასწავლებელთა და სტუდენტთა შეხვედრა

ამ დღეებში სპორტის სასახლეში შეიდგა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა საზეიმო შეხვედრა პირველკურსელებთან და „მესამე შრომითი სემესტრის“ მონაწილე სტუდენტებთან.

დიდი შრომითი ტრადიციები აქვთ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს. მიმდინარე წელს მათ მეთერთმეტედ ასახელეს შრომლიური ინსტიტუტი. ამ ზაფხულს „მესამე შრომითი სემესტრის“ დროს 1.600 სტუდენტი წავიდა ყაზახეთში, 500 აქვე, რესპუბლიკის სამშენებლო ობიექტებზე დარჩა სამუშაოდ. მათ სასახელოდ იშრომეს და მეცხრე ხუთწლეულს 5 მილიონი მანეთის სამუშაოს შესრულება უპატაკეს.

საზეიმო შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნეს ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ბოლოტნიკოვი, ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი, ინსტიტუტის სამეცნიერო-სალიტერატურო ბიუროს თავმჯდომარე ჯ. ბოლოტაშვილი. სიტყვებით გამოვიდნენ ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ძიძიგური, საქართველოს ალკ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ფანტაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ნ. დანელია, რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი მ. მინდელი, პროფესორი გ. სლავინსკი, კომკავშირის პრემიის ლაურეატი პოეტი მ. ფოცხიშვილი, ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, სტუდენტთა სამშენებლო რაზმის მეთაური ა. ინგოროყვა, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის IV კურსის ფრაადოსანი სტუდენტი ი. ასათიანი და სამშენებლო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ნ. რაზმაძე, მათ პირველკურსელებს სასწავლო წლის დაწყება, ხოლო „მესამე შრომითი სემესტრის“ მონაწილეებს გამარჯვება მიეულოცეს.

მისასალმებლად მოვიდნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური და ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები.

ყველაფერმა შემოიტანეს ბარდამავალი წითელი დროშა, ყველა წარმატებები და გამარჯვებები იყოს მათი მეგზური სწავლასა და შრომაში!

ბ. დურგლიშვილი.

ლიდერთა რბოლა

ფუტბური

უმაღლესი ლიგის საკერძოდ, ბოლო მატჩამდე დინამოელებს ჩემპიონატი ახლა, რომ იტვირთა ამა თუ ამ ფინიშის სწორზეა გადაწყვეტილი. ლიდერებს ჩასატარებელი ექვსი-ექვსი მატჩი აქვთ. ლიდერობა ნაკლებ ალბათობით 4:0 მოუგო „ბატუმელს“.

ოსებრივი თბილისის „დინამო“ შეხვდა ადგილობრივ სკა-ს. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრეგ — 1:1. ბურთები გაიტანეს მ. მაჩაიძემ (44-ე წუთზე) და ვ. ჩურკინმა (45-ე წუთზე).

შესვენების შემდეგ არ გასულა 20 წამი, რომ ყიფიანის დარტყმა მოიგერია მეკარე ბოიჩენკომ, მაგრამ მარცხენა მცველმა ალექსანდროვმა ჩაჭრა ბურთი საკუთარ კარში. 2:1 — „დინამო“ ყველა დაწინაურდა. მე-60 წუთზე გეცაევმა გვერდი აუარა მეკარე ბოიჩენკოს და ბურთი ცარიელ კარში გაგზავნა — 3:1. თამაშის 79-ე წუთზე ვ. ჩურკინმა ესკოვის გადაცემიდან გაიტანა ამ მატჩის უკანასკნელი გოლი — 3:2.

დინამოელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: გოგია, ლომუაშვილი ხურცილავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, ვ. ნოდია, ლ. ნოდია (ყიფიანი).

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

27 ტურის შემდეგ

	ბ.	ქ.
„არარატი“	46-23	33
„დინამო“ კ.	43-23	33
„დინამო“ მ.	39-29	29
„ზარია“	35-22	27
„სპარტაკი“	35-27	27
„დინამო“ თბ.	38-31	27
„შახტიორი“	27-24	27
„ცსკა“	31-31	25
„დნეპრი“	34-37	24
„კაირატი“	23-35	23
„ზენიტი“	30-27	19
„პახტაკორი“	31-41	18
„კარპატი“	27-47	17
„ტორპედო“	26-34	16
„დინამო“ მნ.	18-33	15
„ცსკა“	19-38	11

ფეხბურთის ამბები

დღეებინდა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ლაიფციგში 17 ოქტომბერს მონაწილეობას მიიღებს გდრ-ის გუნდთან ამხანაგურ მატჩში: მეკარეები პილგუი და რუდაკოვი, მცველები ძოძუაშვილი, კაპლიჩნი, ფომენკო, ლოვჩევი, მატვიენკო, ოლშანსკი, ნახევარმცველები მუნტიანი, დოლმატოვი, კოლტოვი, ზანაზანიანი, ფედოტოვი, თავდამსხმელები ონიშჩენკო, კოტეშაკინი, ბლოხინი, გ. ნოდია, ევრიუკიხინი.

შეიბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ნაკრებთა მატჩის ჩატარება. შეიბურთა გაიმართება 31 ოქტომბერს ბარსელონაში. ევროპის ნაკრებს ეწვრთნელად დანიშნულია ლ. კუბალა, სამხრეთ ამერიკისა — ო. სივორი და მ. ზაგალო.

პორტუგალიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ფრედ — 2:2 ითამაშა ბულგარეთის გუნდთან მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპის მეექვსე ზონის შესარჩევ მატჩში. ბულგარელებს აქვთ 8 ქულა, პორტუგალიელებს — 6.

ბაიმორთა მეორე ლიგის მეოთხე ზონის საკავშირო პირველობის მორიგი მატჩები: სოხუმის „დინამო“ — გორის „დინამო“ — 4:0; ფოთის „კოლხეთი“ — ბათუმის „დინამო“ — 0:1; ლანჩხუთის „გურია“ — მახარაძის „მერცხალი“ — 3:2.



ქვეყნის ყველა

ნარეკვი

ძვის ხანის ადამიანები

ადამიანი, რომელიც ქვის ხანაში თანამედროვე ესპანეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ჩვენი დროის ადამიანზე მაღალი იყო. მას ჰქონდა ფართო სახე და წინწამოწეული ნიკაპი. იგი იტანჯებოდა სიცივისაგან და ხშირად ავადმყოფობდა. 30 წლის ასაკში უკვე ღრმად მოხუცებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ასეთი დასკვნები გააკეთა ესპანელმა მეცნიერმა მ. ბერენგუერმა. მეცნიერი რამდენიმე წლის მანძილზე იკვლევდა ჩრდილოეთ ესპანეთის რიბადესელას გამოქვაბულებს, რომელთა კედლებზე შემორჩენილი იყო 12-20 ათასი წლის წინათ გაკეთებული ნახატები.

რიბადესელას გამოქვაბულების მკვიდრთ შეეძლოთ ცეცხლის გაჩაღება. საწოლად იყენებდნენ ცხოველთა ტყავებს. ქვის ხანის ადამიანები ნადირობდნენ ირმებზე, ბიზონებზე, გარეულ ცხენებზე. ცხოველთა რქებისაგან და ჩონქებისაგან ათასნაირ საგნებს ამზადებდნენ.

მაგრამ ბერენგუერმა ყველაზერი მაინც ვერ ამოხსნა. გამოქვაბულების კედლებზე, იუწყება რეიტერის საგაზეთო, მეცნიერმა აღმოაჩინა რაღაც ნიშნები, რომელთა მნიშვნელობა მისთვის გამოუცანდა დარჩა. ზა არის ეს, დამწერლობის პრიმიტიული ფორმა თუ რაიმე ციფრობრივი სისტემა?

ბერენგუერის აზრით, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება მას შემდეგ, რაც ევროპის სხვა რაიონების გამოქვაბულებში შეიმჩნევლიან ანალოგიური ნიშნები.

მოდა და ორთქლმავლები

ორთქლმავლები დიდი ხანია გაქრნენ საფრანგეთის რკინიგზებზე. მათი ადგილი დაიკავეს თანამედროვე მძლავრმა ელექტრომავლებმა და თბომავლებმა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ორთქლმავლები ჯერ კიდევ პატივისცემით სარგებლობენ ფრანგებში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეგზოტიკის მოყვარულთათვის აღადგინეს 14 ვიწროლინდაგიანი რკინიგზა. დეპოს ჯარიდან ამოარჩიეს და შეაკეთეს გასული საუკუნის სართულმავლო პარკის ყველაზე კურიოზული წარმომადგენლები.

ამ „მატარებლებით“ ხიამოვნებით მგზავრობს მოსახლეობა. ყოველკვირეული „ეფუვრიერი“ წერს, რომ ამ გასასეირნებელ მატარებლებში პირდაპირ ტეფი არ არის. მაგალითად, ვივარუაში ვიწროლინდაგიანი გზა 33 კილომეტრზე გაიყვანეს და 1972 წლის განმავლობაში ამ გზით უკვე იმგზავრა 40.000 ფრანგმა და უცხოელმა ტურისტმა.

რკინიგზის კატასტროფა

რკინიგზაზე რიო-დე-ჟანეიროს მახლობლად დიზელ-ელექტრომავლის სავაგონო მატარებელთან შეჯახების შედეგად დაიღუპა 11 კაცი და დაშავდა 122. კატასტროფა მოხდა ავტობლოკირების სისტემაში უწესიერობის გამო.

ხელოვნური წყალმცენარეები

ტალღების ამორტიზაციისა და პლაჟების გადარეცხვისაგან დასაცავად ინგლისში ფართოდ იყენებენ ხელოვნურ წყალმცენარეებს. ჩატარებულმა ცდებმა ცხადყო, რომ პლასტმასისაგან გაკეთებული წყალმცენარეები მთლიანად ცვლიან ნამდვილს.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

„კომუნისტი“ 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-92-05, 99-93-09, პ/შ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 92-22-33. მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სახელმწიფოებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 86449 08536 ნაბ. ... ბეჭდვის ... 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ტელევიზია

16 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (მერვეკლასელთათვის, ენერგიის გარდაქმნისა და შენახვის კანონი), 11.25 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ძმები კარამაზოვები“ (1 სერია), 12.45 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 16.30 — სტუდენტთა დასახმარებლად ლექციები ქართულ ენაში, 17.15 — ბიოლოგიაში, 18.00 — ახალი ამბები, 18.05 განცხადებები, 18.10 — მოსწავლეთათვის „ვინ ვაქვთ, ვინ სწავლობ“, 18.45 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი“, 19.00—კინონარკვევი, 19.10—„ეკრავს ლიანა ისაკაძე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — ხახლეარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მესამე კონფერენციის წინ, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „ინჟინერ გარინის კრანი“ II სერია, (პრემიერა), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „პოეტის სიიუბილეო“ (გალაკტიონის სახლ-მუზეუმში), 22.50 — კონცერტი.

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 19.15 — განცხადებები, 19.20— სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები ფიზიკურულ მექანიკაში, 20.20 — მასალათა გამლეობაში, 21.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „ხოლარისი“ (II სერია).

რადიო

17 ოქტომბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — კონცერტი ლ. იაშვილის ნაწარმოებებიდან, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ლ. ბოკერინი. საკიოლონჩელო კონცერტები, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — ყ. ყულიევი. ლექსები, 12.10—ახალგაზრდობისათვის. ციკლიდან „ლოთობა და დანაშაული“. საუბარი „პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — ს. ცინცაძე. მეექვსე სიმფონიური კვარტეტი, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10—ე. ჯაბადარი. „ქართული რაფსოდია“. 18.45 — ს. მონიუშკო. ნაწყვეტები ოპერიდან „ჰაილა“, 19.00 — საუბარი „მტკიცედ დავიცვათ შრომის კანონმდებლობა“, 19.20— ვ. მურადელი. სიმღერები, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ოსური სიმღერები, 20.20 — ა. კრეინი. ფრაგმენტები ბალეტ „ლაურენსიადან“, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“. (ტრანსლაცია ერევნიდან), 21.00—„ძილისპირული“, 21.10— ვ. ამირანაშვილის, გ. ქავთარაძისა და ე. ისაკაძის კონცერტი, 22.00 — კ. ლორთქიფანიძე. „ცაბუნია“ (რადიოდადგმა), 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — ქართული მუსიკის კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

16 ოქტომბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბჭოლდგო დასკენა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მოსამართლე.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო

გადავიდა თბილისის ორჯონიკიძის რაიონში პეკინის ქ. № 28-ში.

საქმიერ ცნობებისათვის ი ს დარეკეთ ტელ. 37-48-53.